განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი -1 ნოემბერი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი - 26 ნოემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313. 2.5, განათლების ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №290, 11.11.2011

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეკლე ჩხეიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2011 წლიდან, აკრედიტაციის მიღების შემდეგ (11.11.2011 წელს, წინა აკრედიტაციის №290). ამჯერად, წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებთაც განათლების ფსიქოლოგიის სფეროში ექნებათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა, უნარები და ღირებულებები. პროგრამა მიმართულია, გამოუმუშავოს სტუდენტებს ის პრაქტიკული უნარები, რაც დაეხმარება მათ როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე დახმარება გაუწიონ სპეციალისტებს და ორგანიზაციებს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში, ადამიანური კაპიტალის ზრდასა და განვითარებაში. განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ასევე მიმართულია, მიაწოდოს ცოდნა მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ განათლების სფეროში კვლევების ჩატერებას და შეფასების კონცეფციის შემუშავებას და განვითარებას.

სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია, რომელიც, შესაბამისად, მოიცავს 4 სემესტრს. იგი აგებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ-პრაქტიკულ, ასევე, კვლევით სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამა მოიცავს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტს. სავალდებულო კრედიტების რაოდენობაა 75. ამათგან, 35 კრედიტი ნაწილდება სასწავლო საგნებზე, 30 კრედიტი ენიჭება სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო 10 კრედიტი-პრაქტიკას. არჩევითი საგნების ერთობლიობა შეადგენს 35 კრედიტს, ხოლო თავისუფალ კომპონეტის - 10 კრედიტს.

პროგრამის ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებულ იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციები. ასევე, გათვალისწინებულ იქნა საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა, რის შემდეგაც უკვე არსებულ პროგრამას დაემატა 7 ახალი სასწავლო კურსი, მათგან 2 სავალდებულო და 5 - არჩევითი. ყურადღება მიექცა ზრდასრულთა განათლების საკითხებს, გაიზარდა პრაქტიკული და არჩევით კურსების რაოდენობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვლის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 1 ნოემბერს. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom პლატფორმის მეშვეობით.
წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტთა მომსახურების პერსონალთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალილერება მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პეციალისტების, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით.
ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულად, შეფერხების გარეშე და მიმდინარეობდა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 2.1, 2.2., 2.3, 2.4, 2.5, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2, 5.3 სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.1, 1.2 და .2.6 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

1.1 სტანდარტთან მიმართებაში
- ჩატარდეს სისტემური ხასიათის შრომის ბაზრის ანალიზი;

1.2 სტანდარტთან მიმართებაში
- კურიკულუმის რუკაში გადაიხედოს სწავლის შედეგების და სწავლის დონეების შესაბამისობა „პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან“ - სთან მიმართებაში;

2.6 სტანდარტთან მიმართებაში
- რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმითა და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტში შეიცვალოს ფრაზა - „ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს“ რადგან, ორგანიზაციის მიერ

მითითებული მოწვეული ლექტორის გვარი არ ფიქსირდება ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიაში.

- სასწავლო პროგრამაში სწავლის შედეგების გრაფაში გასწორდეს კორექტული შეცდომები
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია და წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **„არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არგაზიარების შესახებ ინფორმაცია“**

1.1. ჩატარდეს სისტემური ხასიათის შრომის ბაზრის ანალიზი *- ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას. რამდენადაც, წარმოდგენილი კვლევა წარმოადგენს არა შრომის ბაზრის კვლევას, არამედ, კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების შეფასებისა და დამოკიდებულების კვლევას. მართალია ეს უკანასნელი წარმადგენს შრომის ბაზრის ანალიზის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს, თუმცა, რეკომენდებულია, კვლევა დამატებით მოიცავდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზსაც.*

1.2. კურიკულუმის რუკაში გადაიხედოს სწავლის შედეგების და სწავლის დონეების შესაბამისობა „პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან“ მიმართებაში- ექსპერტთა ჯგუფი ნაწილობრივ ეთანხმება ინსტიტუციის არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა, ჩვენი აზრით, მოცემული პრაქტიკა არ გადის მეოთხე შედეგზე („სიღრმისეულად გაიაზრებს კვლევის და შეფასების არსს, სხვადახვა დიზაინს, მეთოდოლოგიას და მთ მნიშვნელობას და აპლიკაციას განათლებაში“); რამდენადაც, მოსწავლეთა შეფასების და კვლევის შედეგების საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება გარკვეულწილად არ ასახავს მეოთხე შედეგის შინაარსს.

კომპონენტისათვის 2.6.
რეკომენდაცია (1): რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმითა და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები *(1);*
ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ინსტიტუციის პოზიციას, ვინაიდან საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბრძანება #3-ის თანახმად, ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება და არა მხოლოდ ჯგუფში დასწრება.

რეკომენდაცია (2): რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით.
- ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ინსტიტუციას სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობებში. FX შეფასება შეესაბამება 4.19 მუხლს. *თუმცა მიგვაჩნია, რომ 11.7 პუნქტის ჩანაწერი ეწინააღმდეგება კრედიტებით გაანგარიშების წესის მუხლი 4.19-ით შეფასებას. საჭიროა ცალკე გამოიყოს* F შეფასება (419. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა

გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-9 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და ხედვას, კერძოდ, მიმართულია, საზოგადოების განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ახალი ცოდნის შექმნაზე, გადაცემასა და გამოყენებაზე; სტუდენტებზე ორიენტირებულ სწავლებაზე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური, გაზომვადი მიღწევადია. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია რომ, პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩატარებულა შრომის ბაზრის კვლევა. ჩატარდა მხოლოდ დამსაქმებლების მიერ სამაგისტრო პროგრამით, თსუ-ს კურსდამთავრებულებით და პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებით კმაყოფილების კვლევა. გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ინტერვიუ ჩატარდა 10 დამსაქმებელზე. დამსაქმებელი ორგანიზაციებია: „ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საჯარო სკოლა, „აიფიემ მარკეტ ინტელიჯენს კაუკასუს“, ევროპის უნივერსიტეტი, „პროექცია“. დამსაქმებელი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ხელოვნების სწავლებისა და კვლევითი სფერო. დამსაქმებელ ორგანიზაციაში ყველაზე ხშირად ვაკანტური ადგილებია შემდეგ პროფესიებზე: სკოლის ფსიქოლოგი, სპეც-მასწავლებელი, საგნის მასწავლებელი, ასისტენტ-პროფესორი, მკვლევარი“. რეკომენდებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის ანალიზი. განათლების ფსიქოლოგიის და კვლევის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია შემოიფარგლება იმით, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც ამჟამად მუშაობს ქუვეითში, კიხულობს რამდენიმე სასწავლო კურსს და სტუდენტებს უწევს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას (რაც დასტურდება სილაბუსებით, თუმცა, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა არ დასტურდება 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიით - დანართი # 7). სასურველია, ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტიდან შეიცვალოს ფრაზა - „ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს“(ან დადასტურდეს რაიმე დოკუმენტით) და უწევს ნაშრომებს რეცენზირებას. ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ დაწყებულია თანამშრომლობა შტუდგარტის უნივერსიტეტის პროფესორ ბერნარდ ცინთან და მის გუნდთან ერთობლივ შედარებით კვლევაზე სამუშაოდ, სადაც სამაგისტრო

პროგრამის სტუდენტების ჩართვაც მოიაზრება. ასევე, გეგმავენ გრაცის უნივერსიტეტის განათლების ფსიქოლოგიის პროფესორ მანუელა პეტჩერთან თანამშრომლობას როგორც კვლევითი პროექტზე საუშაოდ, ასევე სასწავლო კურსის „საგანმანათლებლო გარემოს გავლენა სწავლაზე“ ჩასატარებლად. განათლების ფსიქოლოგიის და კვლევის სამაგისტრო პროგრამის მიზნები საჯაროა, ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და პროგრამა • თსუ-ის მისია: https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91/· • დამსაქმებელთა გამოკვლევის დოკუმენტი: „კურსრსდამთავრებულთა დამსაქმებლების შეფასებისა და დამოკიდებულებების კვლევა, (დანართი # 8) • ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი: „სამაგისტრო პროგრამის “განათლების ფსიქოლოგია” ფარგლებში უცხოეთის ცენტრებითან თანამშრომლობა“ • სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024); • სილაბუსები • 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია - დანართი # 7 • ინტერვიუს შედეგები (თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებულებთან)
რეკომენდაციები: • ჩატარდეს შრომის ბაზრის სისტემური ხასიათის ანალიზი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტში შეიცვალოს ფრაზა - „ხელმძღვანელობს სამაგისტრო ნაშრომებს“ რადგან, ორგანიზაციის მიერ მითითებული მოწვეული ლექტორის გვარი არ ფიქსირდება ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და წარმოდგენილია სამ ჯგუფად: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. აღნიშნული სწავლის შედეგები არის მიღწევადი, რეალისტური, გაზომვადი და შეესაბამება სამაგისტრო დონეს. სასწავლო პროგრამაში აღწერილ სწავლის შედეგებში, კერძოდ, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობაში წერია: „სტუდენტს შეუძლია: პროფესიული ეთიკის დაცვით დარგის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება და დამუშავება, პასუხიმგებლობის აღება მის მიერ განხორციელებულ კვლევით და სამეცნიერო აქტივობებზე; სასურველია გასწორდეს კორექტული შეცდომები რადგან წინადადება იკითხება, როგორც: „სტუდენტი სამეცნიერო ლიერატურის მოძიებას შეძლებს პროფესიული ეთიკის დაცვით," რაც სავარაუდოდ, არ იყო ნაგულისხმები ზემოთ აღწერილ წინადადებაში. უსდ-ს მიერ ჩატარებულ იქნა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საგნმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა. ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად შეიძინეს ან გაიუმჯობესეს ის უნარები, რაც აუცილებელია დასაქმების დროს. ასეთებია: „მოლაპარაკების, გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის, მხარდაჭერის აღმოჩენის უნარი". სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს მეშვეობით დასტურდება, რომ მათ დასაქმებაში უმეტესწილად დიდი წვლილი მიუძღვის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამაგისტრო პროგრამის დასრულებიდან სამ თვეში სტუდენტების 100% დასაქმებულია. კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ლექტორებს და რჩევა მიიღონ მათგან. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები იცნობდნენ სასწავლო პროგრამას და ჩართულნი იყვნენ მისი გაუმჯობესების პროცესში. პროგრამას აქვს სწავლის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმი. მაგალითად, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ორი ნაწილისაან შედგება. პირველ ნაწილში ზოგადად არის შეფასებული სასწავლო კურსთან დამოკიდებულება, ლექტორების სილაბუსები. კვლევის მეორე ნაწილში დეტალურად აფასებენ კურსის შინაარსს, თითოეულ ლექტორს, სწავლების მეთოდებს და კურსის ორგანიზების საკითხს. სტუდენტების გარდა პერიოდულად ატარებენ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას. პირდაპირი შეფასებისთვის იყენებენ სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზს, რაც დასტურდება საბაკალავრო პროგრამისთვის წარმოდგენილი დოკუმენტით. არ არის წარმოდგენილი განათლების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შედეგების შეფასების ანალიზი, რაც სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზია. თვითშეფასების ანალიზშიც ასახულია სტუდენტთა მიერ მიღებული შეფასებები ბოლო 5 წლის მანძილზე. მონაცემები გროვდება ყოველსემესტრულად და მუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგების დადარება ხდება სამიზნე ნიშნულებთან, რაც ასახულია სამიზნე ნიშნულების რუკაში და მითითებულია, რომ სტუდენტთა 80%-ზე მეტი მიიღებს 75 ქულაზე მეტს. ბოლო 2020-2021 წლებში შეფასების ქულები მცირედ გაუარესებულია 2019-2020 წლებთან შედარებით. მაგალითად, 2019-2020წლის შეფასების ქულებია: ფრიადი -87.5%, კარგი -

12.5%, ხოლო 2020-2021 წლებში - ფრიადი -44.5%. ძალიან კარგი -33.3%, დამაკმაყოფილებელი - 22.2%. რაც ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ახსნილ იქნა იმით, რომ პანდემიის დასაწყისში არ ჰქონდათ შემუშავებული დისტანციურ სწავლებასა და შეფასებაზე მორგებული მეთოდები, რამაც გამოიწვია უმაღლესი შეფასებები ზრდა. ბოლო წელს კი, ტრენინგების და სასწავლო პროცესის დისტანციურ სწავლებაზე მორგების შედეგად, იკლო უმაღლესმა შეფასებებმა. მიუხედავად შეფასების ქულების მცირედი კლებისა, იგი შესაბამისობაში მოდის დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან.

კურიკულუმის რუკაში პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, მითითებულია, რომ გადის პროგრამის მეოთხე შედეგზე: „სიღრმისეულად გაიაზრებს კვლევის და შეფასების არსს, სხვადასხვა დიზაინს, მეთოდოლოგიას და მათ მნიშვნელობას და აპლიკაციას განათლებაში“. ზემოთ მითებული პრაქტიკის სილაბუსში კი არ ჩანს მოცემული შედეგი. სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები გაზიარებულია როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის მიერ და მორგებულია სწავლების სპეციფიკაზე. შეფსების კრიტერიუმებში შედის შუალედური და დასკვნითი გამოცდა, ასევე, ჯგუფური მუშაობა, კვლევის პრეზენტაცია, სემინარზე აქტიურობა, პრაქტიკული სამუშაო, დავალებების პრეზენტაცია, მონაცემთა შეგროვება-საველე მუშაობა და სხვა.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კითხვების გაჩენის შემთხვევაში, სტუდენტები იღებენ დამაკმაყოფილებელ განმარტებას ლექტორებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მიზნებისა და შედეგების რუკა
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეფასებისა და სამომავლო გაუმჯობესების შესაძლებლობების კვლევა“
- თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა: https://www.tsu.ge/ka/quality-assurance/page/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%90
- დადგენილება 100- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“
- სილაბუსები
- სამიზნე ნიშნულების რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- კურიკულუმის რუკაში გადაიხედოს სწავლის შედეგების და სწავლის დონეების შესაბამისობა „პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან“ -სთან მიმართებაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო პროგრამაში სწავლის შედეგების გრაფაში გასწორდეს კორექტული შეცდომები
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაზე მინიმალური ქულის მიღების შემთხვევაში; განათლების ფსიქოლოგიაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების და ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია პირს, რომელსაც ნებისმიერი ავტორზებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიჭებული აქვს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი, ან ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში.

თანაბარი ქულების არსებობის შემთვევაში უპირატესობა ენიჭება იმ აპლიკანტს, რომელსაც წარდგენილი ექნება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში გავლილი სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროგრამაზე სწავლის გაგრძელება მობილობის საფუძველზე შეუძლია თსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ან სხვა უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად.

შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ როგორც ფსიქოლოგიის, ასევე სოციალრი მეცნიერებების ფსიქოლოგიის ბაკალავრის დიპლომის არმქონე პირსაც შეეძლოს პროგრამის დაძლევა. აღნიშნული ასევე დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად. განათლების ფსიქოლოგიაში გამოცდით დასტურდება ბაზისური ცოდნა აღნიშნულ სფეროში, რაც მისცემს სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის მქონე სტუდენტებს გაიღრმავონ ცოდნა განათლების ფსიქოლოგიის სფეროში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა და მათი განთავსება ხდება თსუ-ს ვებგვერდზე და შეფასებების და ეროვნული გამოცდების გზამკვლევში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ეროვნული გამოცდების აბიტურიენტების ცნობარი:
- https://naec.ge/uploads/postData/2021/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-2021.pdf
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავდა სსიპ -ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის და პროცედურების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის და ინტერვიუს შედეგების მეშვეობით. კერძოდ, პროგრამის განახლების პროცესის დროს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა, ისე, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა.

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ, იგი შედგება 120 ECTS კრედიტისგან. სწავლების ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს. თავად სასწავლო კურსები მიმართულია როგორც თეორიულ-პრაქტიკული, ასევე და კლევითი უნარი-ჩვევებს გაუმჯობესებაზე. პროგრამას აქვს როგორც სავალდებულო, ისე, არჩევითი კურსები.

სავალდებულო საგნების ერთობლიობა შეადგენს 75 ECTS კრედიტს. ამათგან, 35 კრედიტი სასწავლო კურსები, 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი, 10 კრედიტი- პრაქტიკა,) 35 კრედიტს შეადგენს არჩევითი კურსი, ხოლო 10 კრედიტს- თავისუფალი.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს აირჩიონ სასწავლო პრაქტიკა ინტერესების მიხედვით. მაგალითად, მათ აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ პრაქტიკა განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში (პრაქტიკა სკოლაში), ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებაში, განათლების კვლევები და შეფასებებში (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში) ან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.

პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების მრავალფეროვნება. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კვლევის მეთოდების მრავალფეროვნებას, რაც აძლევს კურსდამთავრებულებს საშუალებას, დამოუკიდებლად დაგეგმონ კვლევა, შეაგროვონ მონაცემები და გააკეთონ ანალიზი SPSS, R, Mplus და Nvivo, MAXQDA პროგრამების საშუალებით, ასევე, შეძლონ პროგრამების და პროექტების შეფასება და შეფასების შედეგების წარდგენა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შედეგები

შეესაბამება დასახულ მიზნებს.
განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები ლოგიკურად და თამიმდევრულად არის შედგენილი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება სილაბუსებით, თვითშეფასების დოკუმენტით, ინტერვიუს შედეგებით. თეორიულ-პრაქტიკული და კვლევითი სახის სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებს.
სამაგისტრო პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ფსიქოლოგიაში ბაზისური ცოდნის მიღების მიუხედავად, სოციალური მეცნიერებების ბაკალავრმა შეძლოს მისი დაძლევა და ასევე, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვისაც იძლეოდეს ჩაღრმავებული ცოდნის მიღების საშუალებას, რაც მაგალითად, დასტურდება სილაბუსებით და ინტერვიუს შედეგებით.
როგორც დამსაქმებლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანგარიშით, ასევე აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი და პოტენციური დამსაქმებლები ჩართული იყვნენ ახალი პროგრამის შემუშავების პროცესში.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე კვლევის შედეგებსა და განათლების სფეროში თანამედროვე მიღწევებს, რის საფუძველზეც პერიოდულად ახლდება სასწავლო კურსების სილაბუსები, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რაც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და ასევე მის ელექტრონულ პორტალზე.
პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და სამაგისტრო პროგრამა
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15598
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის სწავლი შედეგების და მიზნების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის N07/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3380052?publication=0
- თსუს განათლების ფსიქოლოგიის და კვლევის სამაგისტრო პროგრამის ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ka/faculty/%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის რუკა ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სილაბუსების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა განაწილება შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. ასევე, საკონტაქტო საათების რაოდენობა სწავლებაზე და დამოუკიდებელ მუშაობაზე ადექვატურად არის გადანაწილებული. მაგალითად, სასწავლო კურსში, კვლევის პრაქტიკუმი, რომელიც ერთი სემესტრის ფარგლებში ისწავლება, განსხვავდება სხვა კურესბისგან იმით, რომ იგი 10 კრედიტიანია (დანარჩენი კურსები, გარდა პრაქტიკული კომპონენტისა, 5 კრედიტიანებია), მოიცავს კვირაში 2 საათს პრაქტიკულ მეცადინეობას და 2 საათს -სამუშაო ჯგუფს (ჯამში, 60 საკონტაქტო საათს). დამოუკიდებელი მუშაობისთვის კი- გამოყოფილია 190 საათი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საგანში სრულიად გათვალისწინებლია კურსის სპეციფიკა. სილაბუსების შესწავლის და ხელთ არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სილაბუსების შესწავლის საფუძველზე ასევე ვლინდება, რომ თითოეულ სასწავლო კურსში დეტალლურად არის აღწერილი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც იძლევა სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების შესაძლებლობას. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა, რომლის უზრუნველსაყოფად სილაბუსებში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, რაც წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. სილაბუსებში წარმოდგნილია როგორც სავალდებულო, ასევე დამხმარე ლიტერატურა, რაც

აუილებელია თითოეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევისთვის. სასწავლო კურსებში მითითებულია როგორც კლასიკოსი ავტორების, ასევე, თანამედროვე ლიტერატურა, რაც ითვალისწინებს სფეროს აქტუალურ მიღწევებს და და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ხელმისაწვდომობას სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე (Scopus, ScienceDirect, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, , , DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა).
როგორც სავალდებულო, ასევე დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და მის ელექტრონულ პორტალზე. ასევე, ლექტორები თავადაც უზრუნველყოფენ სტუდენტებს საჭირო ლიტერატურით, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი: https://old.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს 10 კრედიტს და ხორციელდება მესამე სემესტრში. პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს, 4 პრაქტიკის კურსიდან აირჩიოს რომელიმე მათგანი. ესენია:

- პრაქტიკა - განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში (პრაქტიკა სკოლაში)
- პრაქტიკა – ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებაში
- პრაქტიკა – განათლების კვლევები და შეფასებები (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი)
- პრაქტიკა – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს მრავალფეროვან კვლევის მეთოდებს, რათა სუპერვიზიის ქვეშ შეძლოს კვლევით ნაშრომზე მუშაობა. სამაგისტრო ნაშრომზე სტუდენტი ხელმძღვანელის დახმარებით მუშაობს მეოთხე სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომს მინიჭებული აქვს 30 კრედიტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამა სტუდენტებს არჩევითი კურსის სახით სთავაზობს კვლევით პრაქტიკუმს, რომელიც 10 კრედიტიანია და ისწავლება როგორც შემოდგომის, ასევე გაზაფხულის სემესტრში. სტუდენტებს დამატებით ეძლევათ შესაძლებლობა, სამაგისტრო ნაშრომამდე გამოიუმშავონ კვლევითი ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

სამაგისტრო ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს საკუთარი კვლევითი ინტერესების და სავარაუდო კვლევითი ხელმძღვანელის ინტერესების და გამოცდილების გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს ფაკულტეტის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი.

პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესების მიხედვით სტაჟირება გაიარონ სხვადასხვა დაწესებულებებში, რაც დასტურდება მემორანდუმებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო გეგმა
- პროგრამის სილაბუსები
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან მემორანდუმები
- პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსში გამოყენებულია სტუდენტებზე მორგებული სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი. კერძოდ, ასეთებია: ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; შემთხვევის შესწავლა (Case Study); გონებრივი იერიში (Brain Storming); შედარებითი ანალიზის მეთოდი; ინდივიდუალური მუშაობა; ჯგუფური მუშაობა; დისკუსია/დებატები; პრეზენტაცია; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ლაბორატორიული მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; აუდიო-ვიზუალური მეთოდი; წიგნზე მუშაობა; წერითი მუშობა; ელექტრონული სწავლება (E-learning).

თითოეულ სასწავლო კურსში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას შეესაბამება მაგისტრატურის უმაღლესი განათლების საფეხურს, ასევე, დარგის სპეციფიკას და სწავლის შედეგებს.

სწავლება-სწავლის მეთოდების მრავალფეროვნება მოქნილად გამოიყენება ლექტორების მიერ და მორგებულია სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც დასტურდება ინტერვიუს მეშვეობით და სილაბუსებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი მეთოდებით.

მაგალითად, სწავლება-სწავლის მეთოდებს: დისკუსია, გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წიგნზე მუშაობა, წერითი მუშაობა, ელექტრონული სწავლება (e-learning). ასევე, კურსი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, იყენებს შემდეგ მეთოდებს: დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, შემთხვევების განხილვა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ელექტრონული სწავლება (e-learning). ანდა, იყენებს შემდეგ მეთოდებს: ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება(e-learning).

სწავლის მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს და სასწავლო კურსების შინაარსს.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ როგორც აკადემიური, ისე, მოწვეული პერსონალი საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას უწევს სტუდენტებს, ითვალისწინებს მათი აკადემიური მომზადების დონეს და ინტერესებს. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- https://e-learning.tsu.ge/
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ფსიქოლოგიის პროგრამაში მოქმედებს მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემა, რომელიც მოცემულია თითოეულ სილაბუსში.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება შემდეგნაირად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასების გარდა, სტუდენტი ფასდება სასწავლო კურსში მოცემული აქტივობების განხორციელების შედეგად. ესენია: ესეები, ქეისები, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები, გამოკითხვები და სხვა სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობები.

პროგრამაში გათვალისწინებულია 3 სხვადასხვა პრაქტიკის კომპონენტი, რომლის

ფარგლებშიც, სტუდენტი ფასდება პრაქტიკის სპეციფიკის გათვალისწინებული შეფასების სისტემით. მაგალითად, პრაქტიკა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მოიცავს შემდეგ შეფასების სისტემას: 1.პრაქტიკაზე დასწრება–30 ქულა, ერთი შეხვედრა - 2 ქულა, სულ15 შეხვედრა (2X15=30); 2.ინდივიდუალური პრაქტიკული დავალებები - სულ 4 დავალება, პირველი და მეორე დავალება ფასდება 10 ქულით; მესამე დავალება ფასდება 5 ქულით, ხოლო მეოთხე დავალება ფასდება10 ქულით, ჯამში-35 ქულა; 3.თეორიული მასალების მომზადება. ჩაბარება ხდება სემესტრის ბოლოს ტესტირებით, ტესტირება მოიცავს 10 ღია დავალებას, თითოეული ფასდება 1 ქულით, ჯამში - 10 ქულა (1X10=10); 4. საინფორმაციო ბუკლეტის მომზადება -„როგორ ვმართოთ რთული ქცევა?“ –5 ქულა; 5.პრაქტიკის ანგარიშის და პრეზენტაციის წარდგენა - 20 ქულა.

პროგრამას თან ახლავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება, რომელშიც ასევე მოცემულია შეფასების სისტემა და ნაშრომის დაცვის წესები: სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი- მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი- მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი.

ზოგ სასწავლო კურსში შეფასების კრიტერიუმებში ცაკლე კომპონენტად არის გამოყოფილი დასწრება, რაც რეკომენდებულია რომ შეიცვალოს (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბრძანება # 3), რაც გულისხმობს, რომ ფასდება სტუდენტის აკადემიური მოსწრება და არა მხოლოდ ჯგუფში დასწრება. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული აქტივობის შეფასების კომპონენტები, რაც რეკომენდებულია რომ იყოს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სტუდენტი გადის წინასწარ დაცვაზე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კომპონენტები: „ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებები და თემის პრეზენტაცია“ სამაგისტრო ნაშრომი წინასწარ დაცვამდე გადის შემოწმებას Turnitin ,ანტიპლაგიატის პროგრამაში.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში, მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში შესატანია ცვლილება, რაც ეხება 11. 7 კრიტერიუმს: სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (**F**/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია", რადგან **F**-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას (ბრძანება #3,) (ამონარიდი ბრძანებიდან: „ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

სამაგისტრო ნაშრომებს უძღვება კვალიფიციური პერსონალი, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალში მითითებული პერსონალის პირადი საქმეებით (ესენია, მზია წერეთელი, ია აფთარაშვილი, ნინო ლაბარტყავა, სოფიო თვდორაძე, მარიამ შურღაია, ანა ლაღიძე.

ყველა ეს ინფორმაცია გამჭვირვალეა და სტუდენტს მიეწოდება სწავლის დაწყებისთანავე. მათთვის ცნობილია შეფასების გასაჩივრების მექანიზმები და აქტიურად იღებენ უკუკავშირს, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე ლექტორებისგან, სასწავლო კურსის ფარგლებში და ასევე კურსის დასრულების შემდგომაც. გარდა სილაბუსებისა, ისინი ინფორმაციას იღებენ უშუალოდ აკადემიური პერსონალისგან და ასევე, იყენებენ სტუდენტთა პორტალს - https://lms.tsu.ge-ს, რომელშიც მოცემულია ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამის სილაბუსები
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება
- სწავლის შედეგების რუკა
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება
- მინისტრის ბრძანება #3: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/68458?publication=0
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და გაიწეროს #3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები, სწავლის დაწყებისთანავე იღებენ სრულ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ისე აკადემიური პერსონალისგან. სტუდენტები აქტიურად იყენებენ მათთვის განკუთვნილ პორტალს - https://lms.tsu.ge-ს, რომელშიც განთავსებულია ყველანაირი ინფორმაცია სასწავლო პროცესის თაობაზე (სილაბუსები, მასალები, შეფასების კრიტერიუმები, რეგისტრაცია, შეფასების გასაჩივრების ფორმა, გაცვლითი პროგრამები, ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამები). ასევე LMS-ზე იტვირთება დეტალები სხვადასხვა კონფერენციებთან, პროექტებთან და ვაკანსიებთან და სტაჟირებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტებს SMS-ის და იმეილის სახითაც ეგზავნებათ სიახლეების და მიმდინარე პროექტების, ვაკანსიების და კონფერენციების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ლექტორებთან და საჭიროების შემთხვევაში იღებენ კონსულტაციებს ლექციის ფარგლებს გარეთაც, რაც გათვალისწინებულია პერონალის დატვირთვაში. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი კარგად ადაპტირებულია პანდემიით გამოწვეულ ონლაინ სწავლებაზე, შესაბამისად არ აღნიშნავენ ამ მხრივ შეფერხების არსებობას. უნივერსიტეტის საიტზე განთავსებულია მაგისტრატურის გზამკვლევი (https://tsu.ge/ka/page/მაგისტრატურის-გზამკვლევი) რომელშიც მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია მაგისტრანტებისთვის: სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სტუდენტის დატვირთვა, ინფორმაცია რეგისტრაციასთან, სწავლის საფასურთან, სასწავლო პროცესის ელექტრონულად მართვის სისტემასთან, მობილობასთან და სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე და სწავლის დაწყებისთანავე ეცნობიან გამოყენების ინსტრუქციას. უნივერსიტეტში 2014 წლიდან მოქმედებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელის ფარგლებშიც, ტარდება დასაქმების ფორუმები, რაც ეხმარება სტუდენტებს დასაქმებაში. ასევე, განათლების პროგრამის სტუდენტების დასაქმებაში დიდი როლს თამაშობს პრაქტიკის კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იღებენ კვლევების ჩატარების გამოცდილებას. ასევე, სტუდენტების თქმით, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის მზად არის რეკომენდაცია გაუწიოს სტუდენტს დასაქმების კუთხით. ასევე, ყველა ინფორმაცია ვაკანსიების და სტაჟირებების თაობაზე, იდება უნივერსიტეტის Facebook ჯგუფში. აღინიშნება სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. 2017 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი,

რის შესახებაც ინფორმაცია არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის საიტზე.
ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაერთიანდნენ სხვადასხვა სტუდენტურ კლუბებში.
პრაქტიკის კუთხით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი 198-ე და 55-ე სკოლასთან, ააიპ ასოციაცია ანიკა-სთან და განათლების სამინისტროსთან და პერსონალის თქმით, აღნიშნული სია სამომავლოდ გაიზრდება.
სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ყოველსემესტრულ გამოკითხავში, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ თიოთოეული სასწავლო კურსის ნებისმიერი კომპონენტი, რასაც მათი თქმით, მოჰყვება რეაგირება როგორც ადმინისტრაციის, ისე ლექტორების მხრიდანაც. ასევე, აკადემიური პერსონალი იღებს სტუდენტების უკუკავშირს როგორც სწავლის მსვლელობისას, ისე კურსის დასრულების შემდგომ.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვლევითი სტატიების მოძიების პროცსში, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობდნენ გუგლის საძიებლით, რადგან ბიბლიოთეკაში არსებული კვლევები არ იყო მათთვის საკმარისი. სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, უნივერსიტეტის სამეცნიერო ელექტონული ბაზებში მოიპოვონ მათი სამაგისტრო თემისთვის შესაბამისი სტატიები.
უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას პროგრამის შინაარსთან მიმართებაში. ბოლო კვლევა აღწერს დისტანციური სწავლების ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის სილაბუსები
- უნივერსიტეტის საიტი - https://www.tsu.ge/
- მემორანდუმები (დანართი 9)
- დამსაქმებლების და სტუდენტების კვლევები და კვლევების ანალიზი (დანართი 14)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია და წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეულ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. პროგრამაში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომლზე მუშაობისას. მათთვის ცნობილია ყველა ის წესი და კრიტერიუმი, რაც საჭიროა ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვისთვის. კურსამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ თითქმის ყველა სტუდენტი დასაქმებულია და უმეტესობამ განაგრძო სწავლა შემდეგ საფეხურზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს და პროგრამის ხელმძღვანელებს. ხელმძღვანელები მაგისტრანტებს რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ, აწვდიან ინფორმაციას კვლევის დიზაინთან, ბიბლიოგრაფიასთან, პროექტის მენეჯმენტსა და სამაგისტრო ნაშრომის წერასთან, კვლევით ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ასევე, ეტაპობრივად ამოწმებენ ნაშრომებს, აძლევენ სტუდენტს უკუკავშირს/რჩევებს და ეხმარებიან მათ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში. ისინი ასევე იღებდნენ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და სხვადასხვა კვლევებში, რომლის შესახებაც ინფორმაციას იღებდნენ აკადემიური პერსონალისგან. პროგრამის ფარგლებში, მათ მიიღეს დიდი გამოცდილება სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებაში, რაც შემდგომ დაეხმარათ სამაგისტრო ნაშრომის დაწერაში. ასევე სტუდენტები ხელძღვანელების დახმარებით, თვითონვე მუშაობდნენ იმ კვლევითი ინსტრუნეტების ადაპტაციაზე,რომლის ქართული ვარიანტებიც არ არსებობდა, რაც ასევე ძალიან კარგი გამოცდილება იყო მათთვის. ამ ყველაფერზე ვრცლად ისაუბრეს კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს და თითოეულ მათგანს ეტყობოდა ძალიან დიდი კმაყოფილება აკადემიური პერსონალის და ზოგადად პროგრამის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულება ○ სამაგისტრო ნაშრომები ○ 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია (დანართი #7) ○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესორი (4 სრული პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი), რომელთაგან აფილირებულია 11 აკადემიური პირი, ხოლო 6 მოწვეული მასწავლებელი. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციის მაჩვენებელი დასტურდება პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელის [რაოდენობრივი]დატვირთვის სქემაზე, რომელიც განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა ფინანსურად მხარდაჭერილია ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ გაცემული სამეცნიერო მივლინებებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პედაგოგიური (სააუდიტორიო) დატვირთვის ზღვრული ოდენობა, უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნის შესაბამისად, განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით 112/2013 (მასში განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით), ხოლო რაც შეეხება სამეცნიერო დატვირთვას, იგი იზომება არა საათებით, არამედ პერსონალის მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის შეფასებით. დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომოდინარე. ინდიკატორებით დასტურდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ასევე მონიტორინგის შიდა აუდიტის წესით. ინტერვიურებიდან იკვეთება, რომ ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტრენინგებს ფაკულტეტის პერსონალისათვის. დოკუმენტებით დასტურდება, რომ თსუ-ში შემუშავდა მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, რაც აკადემიურ პერსონალს ავალდებულებს შექმნას მაღალ რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციები. აღნიშნული დადგენილებები სავალდებულო გახდება 2021 წლის 5 აპრილიდან, რათა აკადემიურ პერსონალს მიეცეს შესაბამისი ვადა პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. 2018 წელს ჩატარდა ტრენინგები ბაზის მოხმარებასთან დაკავშირებით. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების ბაზებთან Google Scholar, Web of Science, Scopus. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის უმრავლესობას სამეცნიერო შრომები განთავსებულია ResearchGate-ის ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის და დაინტერესებული

მხარეებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს მონიტორინგს.
პროგრამას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ძირითადად მესამე ცვლაში მიმდინარეობს და იგი მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე. შესაბამისად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია უფროსი სპეციალისტისა და ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგს უთავსებს მათ სასწავლო ცხრილს, განსაკუთრებით ხანგრძლივია სამუშაო პროცესი შუალედური და ფინალური გამოცდების პერიოდებში.
დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და ასევე ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც 2008 წლიდან ხელმძღვანელობს განათლების ფსიქოლოგიის სამეცნიერო - სასწავლო ინსტიტუტს ფსიოქლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. იგი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილებრივ სამეცნიერო კონფერენციებში, აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ადგილობრივ და უცხოურ პროექტებში. პროგრამის მეორე ხელმძღვანელსაც აქვს ასევე მდიდარი პრატიკული გამოცდილება როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ კვლევით და საგნამანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ის თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა UNICEF, UNDP, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ესტონეთის განათლების სამინისტრო, გრაცის უნივერსიტეტი და სხვა.
2017 წლის 8 დეკემბრიდან უნივერსიტეტს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - “Web of Science (WoS) 109” რაც მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის; “Web of Science” პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რისთვისაც ინტერნეტის ნებისმიერი ბრაუზერიდან გადადიან მისამართზე: www.webofscience.com. “Web of Science” პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report- ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- 2020 წლის 110- ე დადგენილება - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის შესახებ;
- წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმები და პერსონალის რეზიუმეები, დამატებით დოკუმენტაციასთან ერთად; (დანართ 5)
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები ამონარიდი 153-ე დადგენილებიდან N153.2017
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრაძანება 2018 12.04 N 91/02-01 სამუშაოთა აღწერილობის შესახებ;
- 2014 წლის 30 სექტემბრის #5 და 2018 წლის 12 თებერვლის #1 ოქმებით) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თსუ- ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის დებულება
- დებულება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით თსუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან ხდება სამეცნიერო მივლინებების ფინანსური მხარდაჭერა. ფაკულტეტი სისტემატურად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე. აკადემიური პერსონალი წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და პროექტებში. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ ყოველწლიურად ხდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ ინფორმაციის გაანალიზება და მასალები გადაეცემა უნივერსიტეტის სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი “ფსიქოლოგია”. ჟურნალი გამოცემა ხორციელდება პერიოდულად 2019 წლიდან. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს ფინანსური რესურსებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მხარდაჭერით მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის. თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ყოველწლიურად აანალიზებს თსუ-ს აქტივობას საგრანტო კონკურსებში, ასევე თსუ-ს სამეცნიერო პროდუქტიულობას Scopusის გამოყენებით, რაც დეტალურად მოცემულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშებში. თსუ ხელს უწყობს თანამშრომლებს პროფესიულ განვითარებაში – კვალიფიკაციის

ამაღლებასა და გადამზადებაში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში: ერაზმუს მუნდუსი, მარი კიური, მევლანა, ორმხრივი თანამშრომლობა, ერაზმუს+ და BASERCAN. 2011 წლიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა კურსში ჩართული იყო თსუ-ს 330- მდე თანამშრომელი (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი).

თსუ-ში სამეცნიერო კვლევის მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისათვის 2007 წლიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი.

დოკუმენტებიდან დასტურდება, აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობისთვის დაგეგმილი ტრენინგები. 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა დაგეგმა და ჩაატარა ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგები ფაკულტეტის პერსონალისათვის, რომლებიც დაგეგმეს ანტიპლაგიატის პროგრამისა და Moodle-ის გამოყენება საკუთარ სასწავლო კურსებში. 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის დასაწყისიდან სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით, უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე ტარდება ტრენინგების ციკლი უნივერსიტეტში აკადემიური წერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ამაღლების მხარდასაჭერად.

ინდიკატორებით დასტურდება უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და შედეგების ანალიზი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება - წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის #38 და 2018 წლის 12 თებერვლის #1 ოქმებით დამტკიცებული;
- სტუდენტთა მომსახურებით კმაყოფილების კითხვარი
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კითხვარი
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი
- დამსაქმებლების კმაყოფილების კითხვარი
- სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის კითხვარი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი კვლევის ანგარიში 2020 წლის დეკემბერი
- სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა " შეფასება
- „სამაგისტრო პროგრამა „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეფასებისა და სამომავლო გაუმჯობესების შესაძლებლობების კვლევა" თბილისი 2021
- სტუნდენტების მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხისა და სერვისების შეფასება ანგარიში
- სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ
- სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვა გაზაფხულის სემესტრში დისტანციურად ჩატარებული სასწავლო კურსების შესახებ
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა დისტანციური სწავლების შესახებ 2020 წლის დეკემბერი
- სამაგისტრო პროგრამა-„განათლების ფსიქოლოგია" კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების შეფასებისა და დამოკიდებულებების კვლევა თბილისი 2021
- თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებში, სამუშაო მივლინებებში, მათ შორის თსუ-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ჩამონათვალი.
- დადგენილება №10/2013 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სივრცეების დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ-ს მესამე კორპუსში, აუდიტორიების საერთო რაოდენობა - 24 ერთეული. კომპიუტერულ რესურსცენტრი - ოთახი 206- 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ლაბორატორია 2 -20 ერთეული კომპიუტერი; აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს და რიდერებს. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; სტუდენტებს აქვს სამუშაო აუდიტორია, სადაც მათ წვდომა აქვთ კომპიუტერებზე. ანალოგიური სამუშაო სივრცეა გამოყოფილია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ წიგნადი ფონდი და სტაციონალური ტექნიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არსებული ინფრასტრუქტურა;

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 23 თებერვლის N35/02-01 ბრძანება "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ"
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 26 თებერვლის ბრძანება N40/02-01 „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ";
- „სასწავლო პლატფორმა moodle-ის მასწავლებლის სახელმძღვანელო" უნივერისტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდი.
- თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 29 მარტის N46/02/01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ"
- თსუ-ის რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის N265/01-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივის („რეპოზიტორის") ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ"
- თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოკუმენტებით დასტურდება და ინტერვიურებით იკვეთება, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ყოველ წელს უნივერსიტეტიდან გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩართულობას.

ინტერვიურებიდან იკვეთება, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებისთვის სამეცნიერო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია სტუდენტების გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა სახის აქტივობებში მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი #1 https://tsu.ge/assets/media/files/68/representing_council/rc_2021/2021_o1.pdf
- განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი; (დანართი# 11)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უნივერსიტეტში კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის მართვის ორგანო. მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ● უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; ● უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება; ● რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; ● ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასებისპროცესის ორგანიზება; ● სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ● საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა. სამსახური შედგება ორი განყოფილებისგან: ა) ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; ბ) აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და მისი საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტების დებულებებით. უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ● საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება (მათ დამტკიცებამდე და ამოქმედებამდე); ● სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება; ● დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული,

ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოელი სპეციალისტების) ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში;

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება;
- სტუდენტების და პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვ. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზება და მათი კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა დაპერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით;
- კონსულტაციების გაწევა აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისთვის ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- თვითშეფასების პროცესის კოორდინირება/თვითშეფასების ანგარიშის მომზადების კოორდინირება აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- და სხვ.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრული ამ აქტივობებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელების წესი.

დაინტერესებული მხარეების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების შეფასების და განვითარების/მოდერნიზაციის პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მხარდაჭერის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი (მათი არსებობის შემთხვევაში);
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
- უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში), რომელიც იმავდროულად არ იკავებს უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობას;
- სტუდენტი/სტუდენტები;
- კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
- როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი სურვილის შემთხვევაში);
- პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
- უცხოელი სპეციალისტი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
- სხვა წევრი/წევრები.

პროგრამის განხორციელების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

პროგრამის შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები.ხდება მათი ანალიზი. პროგრამის შეფასების შედეგების დამუშავების შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს, ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოებს. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში უსდ ითვალისწინებს: შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას. საგანმანათლებლო პროგრამის განახლების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდა განსახორციელებელი ცვლილებების იდენტიფიცირება და სამუშაო ვერსიის შემუშავება, რომელიც განსახილველად წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტს. განხილვების შედეგად შეჯერებული ვერსია განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას საუნივერსიტეტო და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დამტკიცებული კრიტერიუმების/ინდიკატორების შესაბამისად. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს რეკომენდაციებს და გადასამუშავებლად პროგრამა უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს. გადამუშავებული პროგრამა კვლავ უბრუნდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაფასებლად. პროგრამის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე; ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, თანხმობის შემთხვევაში ამტკიცებს და უგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ sსსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ○ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის სხდომის ოქმი ○ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევები და ანალიზები ○ ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია-ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას,

საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება დამსაქმებელთა შეფასებები. საგანმანთლებლო პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების მიერ მოხდა განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

გარე შეფასების მიზნებისთვის დაწესებულება ასევე იყენებს კოლეგიურ შეფასებას, რომელსაც აქვს აკრედიტაციის სიმულაციის ფორმატი, რომელშიც მონაწილეობას იღებს როგორც პროგრამის განმახორციელებლი პირები, ასევე სტუდენტები, დამსაქმებლები. დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარებას. შეფასება ახორციელებენ სხვა ფაკულტეტების წარმომადგენლები, იწვევენ გარე მონაწილეებსაც/შემფასებლებს. შედეგად იწერება დასკვნა, ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების მონიშვნა და ხდება კომიტეტისთვის წარდგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და კვლევების ფართო ასორტიმენტი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულება იყენებს სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა გამოკითხვებს სასწავლო კურსების და ლექტორების შეფასების მიზნით, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებს, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალის გამოკითხვას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ უსდ პერიოდულად აახლებს კითხვარებს და და ახდენს მათ მოდიფიცირებას. ჩატარებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით, რომლის დამუშავების შედეგად ჩარტარდა რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის -როგორ შევქმნათ ტესტი ონლაინ სწავლებისთვის.

როგორც კვლევის ინსტრუმენტს, ახდენს ლექციების განხორციელების მონიტორინგს-დასწრების, გაცდენების შესამოწმებლად;

აქვთ სტუდენტებთან მჭიდრო კავშირი რათა გამოიკითხონ თუ რამე პრობლემა აქვთ - გამოიყენება პირდაპირი მიმართვა, განცხადების სახით მიმართვა, სტუდენტების გამოკითხვა.

ხდება საგამოცდო მასალის და შეფასების სისტემის შეფასება/მონიტორინგი. ამ დროს

სწავლობენ სილაბუსების თემატიკას და საგამოცდო მასალის შესაბამისობას სილაბუსებთან; საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის სესწავლა, ასევე მიღებული შედეგების ანალიზი. გამოცდის შედეგების შეფსების ობიექტურობის შეფასებისთვის შემთხვევითი შერჩევით მოწმდება საგამოცდო ნაშრომების შეფსების ობიექტურობა. კვლევის შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამის შეფასების შედეგები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტს. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის მიზნით გამოიყენება ასევე აკრედიტაციის სიმულაციის ფორმატის კოლეგიალური შეფასება. მონიტორინგს ექვემდებარება ის პროგრამები, რომლებიც: ა) აკრედიტაციების შორის არ შეცვლილა; ბ) რეგულარულად განიცდიან ცვლილებას. ჩატარებული კვლევებიდან მიღებული ინფრომაციის საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით მიზნით გამრავლფეროვნდა პრაქტიკის კურსები; გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, გაიზარდა სტაჟირების შესაძლებლობები; პრაქტიკული ნაწილი მჭიდროდ დაუკავშირდა საბაზრო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N67/2018, 19 თებერვალი, 2018. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი კვლევები და კვლევის ინსტრუმენტები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: განათლების ფსიქოლოგიის და კვლევის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნათია ბადრიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მზია თედიაშვილი

ქეთევან ბერიძე

ნინო ჯოჯუა



თეკლე ჩხეიძე